3713(074)
ბ-372

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამუნა ხეთაგური

ლექსიკური უნარ-ჩვევების კონტროლი პროფილური სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით

13.00.02. – სწავლების მეთოდიკა

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2006

2093
-2093-

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამუნა ხეთაგური

ლექსიკური უნარ-ჩვევების კონტროლი პროფილური სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით

13.00.02. – სწავლების მეთოდიკა

-3093-

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი **ეთერ გელაშვილი,**
პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი (13.00.02)

ოფიციალური ოპონენტები: 1. **მანანა პაიჭაძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.04)

2. **ნათელა დოლონაძე,**
პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
(13.00.02)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 21 ივნისს 13^{00} საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული (P.10.07. №7) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №I. 103-ე აუდიტორია

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 19 მაისს

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი რ. ქურდაძე

თემის აქტუალურობა განპირობებულია უცხოური ენის მნიშვნელობის ზრდით თანამედროვე საზოგადოებაში, ლექსიკის როლით ენის დაუფლების საქმეში, ცოდნის შემოწმების აუცილებლობით სასწავლო პროცესში და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმით. საქართველოში განათლების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდა უცხოურ ენაში, რომელმაც შეცვალა მისაღები გამოცდების ფორმა და შინაარსი. ასეთი სახის გამოცდის შემოღება მოსწავლეთა ცოდნისადმი მოთხოვნების უნიფიცირების საშუალებას იძლევა (აქამდე ყველა უმაღლესი სასწავლებელი, ფაქტიურად, საკუთარ მოთხოვნებს უყენებდა სკოლის კურსდამთავრებულთა ცოდნას, თანაც ეს მოთხოვნები ხშირად შეუსაბამობაში იყო სასკოლო პროგრამასთან). დღეს საშუალება გვაქვს და მოთხოვნილება იბადება დაზუსტდეს ენის ფლობის ყველა ასპექტისადმი (მათ შორის, ლექსიკური უნარ-ჩვევებისადმი) მოთხოვნა. სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება ჩვენი კვლევა.

კვლევის ობიექტია პროფილურ სკოლაში ლექსიკურ უნარ-ჩვევათა კონტროლის პროცესი.

კვლევის მიზანია შევიმუშავოთ და დავაზუსტოთ ლექსიკურ უნარ-ჩვევათა ბუნება - მათი დონე, რომელიც უნდა გააჩნდეს სკოლის კურსდამთავრებულს, ჰუმანიტარული პროფილის სკოლის (კლასების) სპეციფიკა, ენობრივი (კერძოდ, ლექსიკური) უნარ-ჩვევების კონტროლის ფუნქციები და ფორმები და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შევთავაზოთ ჰუმანიტარული პროფილის სკოლის (კლასების) მასწავლებლებს ლექსიკური უნარ-ჩვევების კონტროლის თანამედროვე მეთოდიკა.

აქედან გამომდინარე ნაშრომის კონკრეტული **ამოცანებია**:

- **პედაგოგიურ ასპექტში:** გაანალიზდეს კონტროლის ფუნქციები და ფორმები, განისაზღვროს ჰუმანიტარული პროფილის სკოლის (კლასების) სპეციფიკა,
- **ფსიქოლინგვისტურ და ლინგვისტურ ასპექტში:** დაზუსტდეს ლექსიკურ უნარ-ჩვევათა ბუნება, მათი როლი კომუნიკაციურ კომპეტენციაში, განისაზღვროს ძირითადი სირთულეები, მათი ფორმირება – ფუნქციონირებისას,
- **მეთოდურ ასპექტში:** გაირკვეს ლექსიკურ უნარ-ჩვევათა დონე, რომელიც უნდა გააჩნდეს სკოლის კურსდამთავრებულს, განისაზღვროს და განხორციელდეს დავალებათა ტიპოლოგია, რომელთა მიზანსაც ლექსიკურ უნარ-ჩვევათა დონის კონტროლი წარმოადგენს, ჰუმანიტარული სკოლის (კლასე-